| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 — სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1891


**ტფილისის ქალაქის გამგეობა** სთხოვს ტრაქტირების, საჭმელების დუქნებისა და ბაკების პატრონთ ტფილისში, მობრძანდნენ გამგეობის სადგომში პირველნი ამა წლის ენკენისთთვის 9-სა, ხოლო უკანასკნელნი 10-ს რიცხვსა მომავალის ოთხის წლის 1892—1895 წლებისათვის თავიანთ შორის დეპუტატების ასარჩევად, ტრაქტირების შესახებ დებულების მე-22 და 56 §§-ის თანახმად. (3—109—3)

## „ივერია"

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისათვის მიჰმართოს:**

**ტფილისში:** ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ახალი ამბავი

*** ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ. შარვაშიძე ტფილისიდამ ხაშურში ზეგ გაემგზავრება.

*** მთავრობის მიერ პეტერბურგიდგან გამოგზავნილი იყვნენ პოლკოვნიკი ლუნკევიჩი და შინაგან საქმეთა სამინისტროს სასტატისტიკო კომიტეტის დირექტორი ბ-ნი ტროინიცკი სამხედრო საჭიროებისათვის ცხენების აწერის დროს დასასწრებლად. 26 ამ თთვეს ესენი დაესწრნენ მე-7 და მე-8 განყოფილებაში ცხენების აღწერას.

*** ამ თთვის 31, როგორც ნათქვამი გვქონდა, ტფილისის ახლოს ალლუმი უნდა მოხდეს ტფილისის გუბერნიაში დაბანაკებულ ჯარებისა. დილის 6 საათზე მცხეთის მხრიდამ წამოვა თიონეთის ბანაკს ნამყოფი ჯარი და ტფილისს მოადგება. აქ დახვდება მეორე ნაწილი და შეიბრძოლებიან. ნაშუადღევის ორს საათზე ალლუმი უნდა გათავდეს და ჯარი ტფილისში შემოვა და საბურთალოზედ დაბინავდება ერთის კვირით.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნილებით, ყველა საქველმოქმედო საზოგადოება ვალდებულია ყოველს წელს თავისი წლიური ანგარიში წარუგზავნოს სამინისტროს. ანგარიშში დაწვრილებით უნდა იყოს გამოცხადებული შემოსავალ-გასავალი, თანხა საზოგადოებისა, ქონება, დაწესებულება საზოგადოებისა და ის, თუ ვინ არიან საზოგადოების მფარველობის ქვეშე. ამისთანა ანგარიში საზოგადოებას უნდა წარეგზავნა სამინისტროსათვის გუბერნატორის შემწეობით.

ამ დღეებში უმაღლესი ბრძანება გამოვიდა, რომ ყველა საქველმოქმედო საზოგადოება კავკასიაში, წევრთა ტომობისა და სარწმუნოების განურჩევლად, ვალდებულია ხსენებულ წლიურ ანგარიშის გარდა, ყოველთვიური ანგარიშიც წარუდგინოს ადგილობრივს გუბერნატორს და ამ ანგარიშში მოხსენებული უნდა იყოს, რამდენი შემოუვიდა საზოგადოებას ფული და რაზედ რა დაიხარჯა. ამასთანავე ისიცაა ნაბრძანები, რომ ადგილობრივი გუბერნატორი და სხვა უფროსები ვალდებულნი არიან, თვითონვე პირადად შეამოწმონ ადგილობრივ, წარმოგზავნილი ანგარიშები საქველმოქმედო საზოგადოებათა.

ტფილისის გუბერნატორმა ეს უმაღლესი ბრძანება ამ დღეებში აცნობა ტფილისის პოლიციმეისტერს და გუბერნიის მაზრების უფროსებს, რათა ამათ თავისის მხრით აუწყონ სხვა-და-სხვა საქველმოქმედო საზოგადოებათ და ამ ბრძანების ილსრულება მომავალ ენკენისთთვიდამვე დააწყებინონ. გუბერნატორისავე ძინდობილობით ტფილისის პოლიციმეისტერი და მაზრის უფროსები ვალდებულნი არიან ადგილობრივ შეამოწმონ წარმოგზავნილის ანგარიშების სინამდვილე, თუმცა თვითონ გუბერნატორიც გაჰგზავნის საგანგებოდ კაცს იმავე ანგარიშების შესამოწმებლადვე.

*** ჩვენის რკინის გზის სამკურნალო განყოფილებამ აცნობა ამ გზის სხვა-და-სხვა განყოფილებათა უფროსებს, რომ კასპიის ზღვით რუსეთიდამ მომავალს მუშა ხალხში ხშირადაა გავრცელებული სხვა-და-სხვა გადამდები ავადმყოფობა და ფრთხილად უნდა აიყვანოთ მომუშავენი, რომ სენი არ გაავრცელონ ჩვენშიო. ამის ასაცილებლად სამკურნალო განყოფილება სთხოვს უფროსებს, მუშები, სამსახურში მიღებამდე, მკურნალის მიერ უნდა იქმნენ გასინჯული და მხოლოდ იმის მოწმობით მიიღეთ სამსახურშიო.

*** სომხური წარმოდგენები, როგორც ამბობენ, მომავალ ენკენისთვის 5-ში დაიწყება სახაზინო თეატრში.

*** ტფილისში ერთი ახალი საზოგადოება არსებობს, რამელსაც „სამუსიკო წრეს" ეძახიან. ამ საზოგადოებას ბინა იზპიროვის სახლში აქვს, გრიბოედოვის ქუჩაზე, სადაც წინად „კრუჟოკ"-ი იმყოფებოდა. სადგომი ახლად შეკეთებული და მორთულია. აქვეა გამართული სამუსიკო სკოლა, სადაც სწავლას მომავალ ენკენისთთვის 1-ლს დაიწყებენ.

*** კავკავის გზაზედ ნიაღვრებისაგან გაფუჭებულ ტელეგრაფის შესაკეთებლად დიდი მუშაო- [illegible] არა თუ მარტო დედა-მიწის ზემოდ გაყვანილი ტელეგრათი, არამედ მიწაში გამართული მავთულებიც: ნიაღვარმა ზოგან სრულიად გამოარღვია და ძირს ჩამოგლიჯა მიწა და თან გამართული ტელეგრაფიც წაიღო.

პეტერბურგიდამ გამოგზავნილი იყო ჩვენს ქვეყანაში ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა სარევიზიოდ ინსპექტორი რუსეთის იმპერიის ფოსტა-ტელეგრაფის უწყებისა ბ-ნი ლეიფნერი, რომელიც ამ ჟამად კავკავის გზაზედ გაფუჭებულ ტელეგრაფის ახლად გამართვის მუშაობას ათვალიერებს.

*** რამდენსამე სომეხს, რომელნიც მუდამ პეტერბირგში ცხოვრობენ, განუზრახავს ისეთის საზოგადოების დაარსება, რომელმაც შემწეობა უნდა აღმოუჩინოს პეტერბურგის სხვა-და-სხვა სასწავლებელში სომეხ-მოსწავლეთ. ამ საქმის მოთავეთ რამდენიმე კრება კიდევაც ჰქონდათ და შეუმუშავებიათ უმთავრესი მუხლები განზრახულ საზოგადოების წესდებისა.

*** ტფილისის სახაზინო პალატა აცხადებს, რომ სიღნაღში მცხოვრებელს მე-2 გილდის ვაჭარს სიმონ ოთაროვს ნება ეძლევა ყოველ-გვარ ღერბის მარკის გაყიდვისა, ხოლო შემდეგის პირობითა: შაურიან მარკის ერთიდამ სამ ცალამდე გაყიდვაში უნდა აიღოს ერთი კაპ., სამ შაურიანს მარკაში— ერთი კაპ., თამასუქის დასაწერს ქაღალდში, ორ შაურიანსა და სამშაურიანში—ერთი კაპ.; ექვს შაურიანსა და ორ აბაზიანში—ორი კაპ. უფრო მეტის ფასის ღერბის ქაღალდებში უნდა აიღოს არა უმეტეს 5% იმ ფასზედ, რომელიც ზედ ქაღალდზედაა გამოცხადებული, ასე რომ ოთხ აბაზიანი ძაოკა და ამისთანავე ღერბის ქაღალდი ს. ოთაროვმა უნდა გაჰყიდოს ოთხ აბაზად და ოთხ კაპ.

თუ აღმოჩნდა, რომ ოთაროვი ან მეტს ფასს, ართმევს მყიდველს ან საკმაო რიცხვი მარკებისა და ქაღალდებისა არა აქვს გასასყიდად და უარს ეტყვის მთხოვნელს, მსყიდველმა უნდა გამოუცხადოს ყოველივე ეს ადგილობრივ პოლიციის ურფოსს ან სახაზინო პალატას.

*** სოფ. დარჩელი (ზუგდიდის მაზრა). ჩვენში თითქმის ყოველი

## ფელეტონი

### ჩემო შვინდავ!

(სურათი)

II

(დასასრული. იხ. „ივერია" № 181)

— სადა ხართ კაცო, შეჭმუხვნილის სახით უთხრა ქიტესამ ლამის მეხრეებს, როცა იმათ გუთნეული მორეკეს: აბა მაღლა აიხედეთ, მზე ორი შუბის სიგძეზეა აწეული".

— სადა ვართ რა, განა ხალი-ფაფასა ვჭამდით, აი ი ვერანა ხარს დავეძებდით! მკვახედ უპასუხა ერთმა ლამის მეხრემ.

— რა ვერანა ხარს, რას ამბობ, ბიჭო? ჰკითხა ქიტესამ.

მეორე ლამის მეხრემ-კი ამ დროს თავისი გუთნის ხარები შეაბა უღელში და ელოდდა დანარჩენებს, ისინი როდის-ღა შეაბამენო.

— ენდე, ე ბალღის სამგლე ხარს! მიუთითა ლამის მეხრემ სოსოზე, რომელიც ამ დროს გაფითრებული გუთნის დედასთან მოვარდა.

— ჩემი შვინდა სად არისო? აკანკალებულის ხმით დაეკითხა სოსო ლამის მეხრეს.

— ჯანაბას! გულ-ცივად უპასუხა იმან.

— მერე, შე ოჯახ-დანგრეულო, დაუყვირა ქიტესამ: თვალები სადა გქონდა? ეხლა აგება თვალები, როცა ჩემი ჯერია?. შვიდ-უღლივ რა ეშმაკი უნდა ვხნათ!

— ოჯახ-დასანგრეო და არცა-რა იცი-რა? უფრო მაღლა შეჰყვირა იმან: შვიდ-უღლივ რათა ჰხნამ, იმის საბადლოდ ჩემი ხარი მოგიყვანე.

იქნება ჩხუბიც მოსვლოდათ ქიტესასა და პირველს ლამის მეხრეს, რომ მეორე ლამის მეხრე არ ჩარეულიყო ლაპარაკში და პირველი იქით არ წაეყვანა.

— რა გულ-არეული რამა ხარ, კაცო, უთხრა მეორე ლამის მეხრემ: შენზე უფროსმა რო სიტყვა გითხრას, როგორ არ უნდა დაუთმო?

სოსო-კი იმ ლამის მეხრეს თავს არ ანებებდა და მალმალე დაეკითხებოდა:

— კაცო, რატომ არ მეტყვი, სად დაგრჩათ ჩემი ხარი?

— თავი დამანებე, ბალღო, თორემ, აი, ი ღვთიშობლის მადლმა, ისეთ ალიყურს გაჭმევ ამ გაჯავრებულს გულზედ, რომ, ხარი-კი არა, თავიც დაგავიწყდეს! შეუტია ლამის მეხრემ.

— რათაო, ე, რატომ არ მეტყვი?! ტირილით უთხრა სოსომ.

პირველი ლამის მეხრის მაგიერად მეორემ უამბო სოსოს, ლამის ხარი საითაც ჰყოლოდათ და სად დარჩენოდათ იმისი შვინდა. სოსომ მაშინვე დააპირა საძებნელად წასვლა, მაგრამ ქიტესამ არ გაუშვა, რადგანაც წინა ხარების გამომრეკი აღარავინ ეყოლებოდა. ისიც ძალა-უნებურად დარჩა, მაგრამ სოსო ისსოსო აღარ იყო, როგორიც დილას ქიტესამ აგვიწერა. სამხრობამდე ერთხელაც არ შემოუძახნია „ოროველა" და ხარებსაც ისე მუყაითად არ ეკიდებოდა, როგორც წინად. ქიტესა მალ-მალე წასძახებდა ხოლმე: „აბა, ჩემო სოსო, ნუ მოგიწყენია, ერთი შენებური „ოროველა" შემოსძახეო, და თან ანუგეშებდა: „რისა გეშინიან, შე კაი კაცო, ხარს არა უშავს-რა! ის თითონვე მოვა დილაზე და ან საღამოზე", მაგრამ ამისთანა ნუგეში სოსოსთვის ნუგეში არ იყო. „ამაღამ რომ ჩემი შვინდა უპატრონოდ მინდორში გავუშვა, ჰფიქრობდა სოსო: ხომ მგლები შემიჭამენ და მერე?... მერე?..." „ვინ იცისო", ჰფიქრობდა სოსო, როცა სადილს შემდეგ ისევ უღელზედ შეჯდა და პირველს კვალს უვლიდნენ: „იქნება მგლებმა კიდეც გამოფაშვეს ჩემი შვინდა!!! სოსოს ამ ფიქრზედ გული ამოუჯდა და ცრემლები ველარ შეიმაგრა. თითქოს ჯავრს სხვებიც თანაუგრძნობენო, ყველანი რაღაც ნაირად დაღონებულები და ღრმად ჩაფიქრებულები იყვნენ. ასე გაჩუმებულები ხან ერთს კვალს აუვლიდნენ და ხან მეორეს ჩამოუვლიდნენ. მარტო, როცა ერთს კვალს ბოლოს ან თავში გავიდოდნენ და მეხრები უღლიდგან ჩამოხტებოდნენ და ქიტესაც გუთანს აუგდებდა, მაშინ თუ ამოიღებდნენ ხმას, ისიც ხარებს, ან კამეჩებს გამოეხმაურებოდნენ, რომ ახლა მეორე მხრის კვალში ჩაეყენებინათ, თორემ დანარჩენს დროს, რაკი კვალში ჩადგებოდნენ, სულ გაჩუმებული იყვნენ. ხარებიც ცოხნითა და კუდის ქნევით მიიზლაზნებოდნენ და სჭიმავდნენ ჭაპანს. მზე-კი თანდათან ზემოდ იწევდა და ისე აცხუნებდა, რომ ზოგი კამეჩი გაალექა და პირიდგან ენა გამოაყოფინა.

— ეს ოხერა, რა ნაირად ჩამოცხა და იკბინება, უთუოდ გაავდარდება! წამოიძახა მეორე ლამის მეხრემ. როცა სამხრობისას გუთნეული გამოუშვეს, იქვე თელის ქვეშ რძის კორკოტს შემოუსხდნენ და ჭამა დაუწყეს საჭმელს, რომელიც ქიტესას თოთხმეტის წლის თეკლემ ის-ის იყო მოუტანა.

— წვიმისგან ღმერთმა დაგვიფაროს, ჯერ არ გვეჭირება! უპასუხა ქიტესამ და ერთი დიდი ლუკმა მა-

მოსახლე კოშლი ცუდ-კაცობასა და ქურდ-ბაცაცობაშია შემჩნეული მთავრობისაგან. თუმცაღა ადმინისტრაცია დიდად ცდილობს და სდევნის, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვერაფერი მოუხერხებია და ვერ მოურჯულებია ეს საზოგადოება: ღამე ისე არ გავა, რომ ერთი რამე უბედურება და სამწუხარო ამბავი არა-მოხდეს-რა; დაბა ანაკლიადგან დაწყებული რუხის საზოგადოების თავამდე ენგურის გაღმა თუ გამოღმა მდებარე სოფლებს და მდინარის ნაპირებზედ მცხოვრებლებს მოსვენება არა აქვთ. მუდამ ღამე, ერთი ყვირილი, კიჟინი, აყალმაყალი და დავიდარაბაა. ამ გარემოების დასაწყნარებლად მთავრობამ ბევრი რამე ღონე იღონა; ყველგან, გაღმა თუ გამოღმა მდ. ენგურისა, გააკეთებინა ყაზახებს საყარაულო ქოხები და დაინიშნა ღამის ყარაულები, მაგრამ მაინც არ იქნა და ავაზაკებმა თავიანთი არ მოიშალეს. ეხლა უფრო თავმოყრით, ჯგუფ-ჯგუფად დადიან და იმ სიყარაულო ქოხსაც კი დაეცნენ და ერთი ბრძოლა და ალიაქოთი აუტეხეს. საზოგადოებას მოსვენება არ მიეცემა, თუ მთავრობამ სხვა ღონე არა იღონა-რა.

*** იქიდამვე. ძალიან სასირცხვილოდ უნდა მიგვაჩნდეს, რომ ჩვენს შემძლებელსა და დიდს საზოგადოებაში ერთკლასიანი სასოფლო სასწავლებელი არ იყოს გამართული. თუმცა ახლო-მახლო სოფლებში-კი არის სასოფლო სკოლა, მაგრამ ჩვენთვის ფუჭია. აქ ერთი იმისთანა კაციც არ არის, რომ თავისი შვილი წაიყვანოს და იმ სკოლის მასწავლებელს მიაბაროს, ამიტომაც ჩვენში სულ ოთხი კაცი არ მოიპოვება, რომ ქართული [illegible] წარსულს წლებში რამდენჯერ გვქონდა ყრილობა სკოლის დაარსების შესახებ, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ყრილობას ისე ვათავებდით და ვიშლებოდით, რომ არც-კა ვიცოდით თუ რის თაობაზედ გვქონდა ყრილობა. ერთს ამ გვარს ყრილობას დაესწრო ადგილობრივი მთავრობა, რომელმაც დიდის მეცადინეობითა და ხერხიანის ლაპარაკით იმ ზომამდე მიიყვანა საზოგადოება, რომ ერთბაშად აღუთქვეს სკოლის დაარსება და იმ დღესვე სასწავლებლისა და მასწავლებლების შესახებ შეადგინეს განაჩენიც. ცოტახნის შემდეგ საზოგადოებამ უარი სთქვა თავისს განაჩენსა და სკოლის დაარსებაზე, მაგრამ განაჩენი, მთავრობის მიერ განხილული და დამტკიცებული, უკვე ძალაში შევიდა. შარშან დირექციამ გამოგზავნა ამ საზოგადოებაში ერთი მასწავლებელი, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, საზოგადოებამ არ მიიღო მასწავლებელი და არც სკოლისთვის შენობა დაუთმო. ამ საზოგადოებაში სკოლა არ არსებობს და საზოგადოება-კი თავისის განაჩენის ძალით ყოველს წელიწადს იხდის წლიურს გარდასახადს სკოლისას.

*** ხაშურში პარასკევს, 23 მარიამობისთვეს, დიდი ცეცხლი ყოფილა და ერთი სასტუმრო სრულიად დამწვარა. „ნოვ. ობოზრ.“

*** გაზ. „საქვახ“-ი იუწყება, რომ სტამბოლში ერთს სომეხს 30,000 მანეთი შეუწირავს ეჩმიაძინის საპატრიარქოსათვის იმ პირობით, რომ ამ ფულის სარგებელი საქველ-მოქმედო საქმეს მოხმარდეს.

*** 25 აგვისტოს სოფ. გომარეთის მცხოვრებლის ტატო მუმლაძის ცოლმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ ხარფუხში ყულაბიდგან 50 მან. მომპარესო.

*** ამავე დღეს ალექსანდრე ჯავახიშვილმა პოლიციაშივე გამოაცხადა, რომ თუმანოვის ქუჩაზე ჩემმა ძმამ სიმონმა 140 მან. ღირებული ქამარ-საათი, შალვარი, ახალუხი და ფულად 10 მან. მომპარაო. დამნაშავეს დაეძებენ.

*** 26 ამ თთვისას აკიმოვის ქუჩაზე პოლიციელმა შეიპყრო ვიღაცა კაცი და როცა პოლიციაში მიიყვანა და ალაყაფის კარებს აღესცა, ამ დროს უკანიდგან მიეპარა პოლიციელს, დანა დასცა და გაიქცა. გაქცეულს გამოუდგნენ, მაგრამ ველარ დაეწივნენ. დადევნების დროს ორი ჩოხა იპოვნეს აკიმოვის ქუჩაზე. ეს ორი ჩოხა ბორისოვის სახლიდგან მოპარული აღმოჩნდა.

## არჩილური, შვიდ-თავი

(საამდროო ამიცანები)

—

ცის ლაჟვარდსა, მთა და ველსა
მუზთა ენით შელაღადებს,
ამკობს ტურფას სამშობლოსა, ახალ
გმირთა ხალხს უცხადებს,
ხან ყრმათაცა ჩასაგონად არ სამათო
ლექსს შემზადებს,
მსწრაფება იდეალსა, ტკბილად მოსთქვამს გულის-ნადებს;
ლელწმოვანსა, ბუჩქნარ ხევსა მთავარიანში შენ წინ ჰბადებს,
საამოდ სწერს, სამუსიკოდ, თუ მერმისად გააკვლადებს.

## ნახული და გაგონილი პროვინციელისა

(წერილი გურიიდგან)

გურულებს გონება მახვილს და გამჭრიახს ხალხს ეძახიან, მაგრამ წელს რომ იმათ საქმე დაემართათ, სიმართლე უნდა მოგახსენოთ, გონების სიჩლუნგისა და ჭკუის სიბლაგვის მეტს არაფერს ამტკიცებს. ამ რამდენისამე თთვის წინად გაზეთი და მკითხველი საზოგადოება შეწუხებული იყო აქაურ მოამბეთაგან, რომ დავიღუპეთ და ამოვვარდით, სიმინდს ფასი აღარა აქვს, რის გამოც ჩვენს გაჭირვებასაც საზღვარი არა აქვსო. ეს ამბავი, რასაკვირველია, გვაღონებდა და დასაღონებელი და სამწუხაროც იყო, რადგანაც მხვნელ-მთესველი ხალხი ჭინახულში შესაფერს ფასს ვერ იღებდა. ყოველს შემთხვევაში ვფიქრობდით, რომ დროსა და გარემოებას დაუცდიან, მოითმენენ, მოიჭირვებენ და თავიანთს ნაოფლარს ნახევარ ფასად არ გადაჰყრიანო, მაგრამ მწარედ მოვსტყუვდით. ამ ერთის თთვის წინად ხმა გავარდა, რომ ერთი ფუთი სიმინდი სამ აბაზად გახდაო. გვესიამოვნა ეს ამბავი, გვეგონა, რომ ვინმე უცხო ვაჭარი მოვიდა ჩვენში სიმინდის სასყიდლადაო... თურმე ნუ იტყვით, ეს ამბავი სულ სხვანაირად მომხდარა: სულწასულს გურულებს, რაც სიმინდი მოეძევებოდათ, სულ გაუყიდნიათ იაფობის დროს, ფუთი 30—40 კ. ალბად უფიქრნიათ, რაკი ახლა ასე იაფად არის სიმინდი, მომავალში უფრო გაიაფდება და ბარემ ეხლავე გავყიდოთ სუყველა, რაცკი გვაბადიაო. ამ ნაირად სრულიად გამოიცალიერეს ხელი სიმინდისაგან და თითონვე დაურჩათ სასყიდლად თავიანთ მიერვე გაყიდული სიმინდი. ვაჰრები აბა რის ვაჰრებია, რომ ამ ამბით არ ესარგებლნათ! ჯერ სამ აბაზად დააფასეს ფუთი სიმინდი, შემდეგ სამ აბაზ ნახევრად და ბოლოსკი ოთხ აბაზად და მანეთად დაფასება და გაყიდვაც არ ითაკილეს. რასაკვირველია, რომ ამ ამბავმა დიდს გაჭირვებასა და სინანულში ჩააგდო გურულები, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ,

წამხდარსა საქმეს არ არგებს
მერმე-ღა თითზედ კბენანი.

წლევანდელს სიმინდის ძვირობას კიდევ ჯანი გავარდეს. ეს ჩვენის სულსწრაფობის, ჩვენის მოუთმენლობისა და უგერგილობის მიზეზია. სამწუხარო ისაა, რომ ამ წლის მოსავალიც დიდს იმედს არ იძლევა. ხან გვალვა იყო, ხან ხანგრძლივი წვიმები და ამ ნაირად დაუზიანებელი ყანები ჩვენში აღარ გადარჩენილა, რის გამოც, მოსალოდნელია, რომ ძველის მოსავლის სიძვირეს ახლის სიძვირეც დაემატება და ქესატობა და გაჭირვება გაორკეცდება. მაგრამ ყოველივე ეს ჩვენს უთაურობას დავაბრალოთ და ის იქნება...

**

გურულები მაინც ისეთს უბედურს ვარსკვლავზედ ვართ დაბადებულნი, რომ ყველაფერში უთავონი და ხელმოცრილნი ვართ. წელს ქუთაისის თავად-აზნაურთა კრებაზე გურიიდგან წინამძღოლის თანამდებობაზე ორი კანდიდატი იყო დასახელებული: ძველი წინამძღოლი თ-დი გუგუნავა და თ-დი მაჭუტაძე. როგორც ვიცით, ორივეს თანასწორი შავი და თეთრი კენჭი ჰხვდათ. ამან ერთი დავა და ცილობა ასტეხა... მიჰმართეს წესდებას და აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელთ უნდა ეყარათ ერთმანეთს შორის წილი და წილის ყრას უნდა გადაეწყვიტა, თუ ვის არგუნებდა ბედი წინამძღოლობას. ბედმა მაჭუტაძეს გაუღიმა, მაგრამ ამ ამბავმა, როგორც მოსალოდნელი იყო, იმისი მოპირის-პირე დარდით და ვარამით მოიცვა, აღარ დასჯერდა წილის ყრას და საჩივარი გაგზავნა, სადაც ჯერ იყო. ამ საჩივრისა ჯერ არა ისმის-რა, თუმცა აქა-იქ გაიძახიან, რომ ხელ-ახლა კენჭის ყრა უნდა მოხდესო. კენჭის ყრა მოხდება თუ ხანჯლის ყრა—ეს რა ჩემი საქმეა. აქ სათქმელი და საამბო მხოლოდ ის გვაქვს, რომ გურიის თავად-აზნაურობა, რომელსაც ასე ძალიან ესაჭიროება წინამძღოლი, დღესაც უწინამძღოლოდ და მაშასადამე უაზროდ და უგზოდ ახეტიალებს თავისს არსებობას. ამ სიტყვაზე შეიძლება, გამირისხდნენ, გამიწყრნენ და, ვინ იცის, რა ამბავი არ ამიტეხონ, მაგრამ მე ხომ ჩემს სათქმელს მაინც ვიტყვი, სათქმელი-კი ეს მექნება: „ნუ გულის-წყრომითა მათითა მამხილებ, ნუცა რისხვითა მათითა მსწავლიან“. დიაღ რამდენისამე ხნით გულის-წყრომა და რისხვა შეიკავონ, ღმობიერება და სიდინჯე შეიმოსონ და ისე გავბჭოთ და გაანვათათბიროთ საქმე.

მართალია, უაზრობა და უგზობა საწყენი სიტყვებია და კიდევაც ეწყინებათ, მაგრამ უნდა იცოდნენ, რომ იმათ ეს მხოლოდ ეწყინათ, ხოლო იმათს შემდეგ მომავალს, თუ ერთ[illegible] და მეორესაც თავი არ დააღწიეს, ეტკინება. შეიძლება ისინი არც უგზობაში სდებდნენ თავს და არც უაზრობაში, მაგრამ ყოველივე ეს იმათის საქციელისაგან დამტკიცებულია. აბა რა მიზეზი იყო, თუ არ უაზრობა და უგზობა, რომ ერთი მუჭა გურიის თავად-აზნაურობა ორ დასად, ორ ბანკად გაიყო და რაც ერთს თეთრად მიაჩნდა, მეორემ შავად აღიარა, რაც მეორეს შავად დაესახა, ის პირველმა თეთრის სახელით მონათლა. ამისთანა შემთხვევაზე ამბობენ: ერთი ალთას მიიწევს და მეორე ბალთასო, ხოლო, საცა ამას იტყვიან, იქ აზრიც დაბნეულია და გზაც დაკარგული. თორემ თუ ერთი აზრი [illegible] ერთი გზა, ერთი სურვილი, [illegible] მიზეზია, რომ ერთი კაცი ვერ დაასახელეს და ვერ ამოირჩიეს წინამძღოლად? განა სათაკილო და სამარცხვინო არ არის ამ დროში, რომ კაცი მარტო გარეგნობით დაფასდეს, ხოლო ჭკუა, გული, გონება განვითარება და ზნეობა დავიწყებულ იქნას? ნუთუ წარმოსადგენია, რომელმამე მათგანმა არ იცოდეს, რომ

კაცი არ ჰყვანს ერთია,
დიდი სძევს კაცად კაცამდის.

ხოლო თუ ყოველივე ეს იციან რატომ აგრძელებენ, რატომ ახიახე-

---

დიანად ჩაიდო პირში, საჩქაროდ გადაყლაპა და მერე თეკლეს მიჰმართა:

— ეე, შენი მამა ცხონდეს, თეკლე, ე რა გემრიელი რძი კორკოტი გაგიკეთებია! შენ გააკეთე, შვილო, თუ დედაშენმა? ჰკითხა ცოტა ხნის შემდეგ ქიტესამ.

— მეო, ჩუმად წამოიძახა თეკლემ და თან თავ-ჩაღუნულს ეღიმებოდა.

— იმიტომ არის ესე გემრიელი, რო შენ გაგიკეთებია! წამოიძახა მეორე ღამის მეხრემ.

ამ სიტყვების გაგონებისათანავე [illegible] სულ ერთიან წამოწითლდა. ის აქამდის ფეხზე იდგა, ეხლა-კი დარცხვენით თავის მამის ზურგს უკან ჩაჯდა და კარგა ხანს მაღლა აღარ აუხედნია.

ყველანი ჭამაში გაერთვნენ. ზოგმა მეორე ჯამიც მიიმატა და ხელ-მეორედ შეუდგა ჭამას. მოქანცული გუთნის ხარიც იქვე დაყრილიყო და უმადურად იცოხნებოდა. ზოგი ისე დაღალულიყო, ნამეტნავად კამეჩები, რომ კუდის გაქნევის თავი აღარა ჰქონდათ და ფშშუილით ბუზებს ძლივს-ღა იგერებდნენ.

— შენ გენაცვალე, ჩემო სოსო, ეგრე დაღონებული რადა ხარ და პურს არა სჭამ? ჰკითხა თეკლემ, როცა სოსოს თვალი შეასწრო.

სხვებმა მაშინ-ღა მიაქციეს ყურადღება და დაინახეს, რომ სოსოს თავის ჯამისთვის ხელი არ ეხლო და ისე გაჩუმებული და თავ ჩაღუნული იჯდა.

— ე ბალღი დღეს მშიერი მოკვდება, მაგას არც სადილობას უჭამია რამ! სთქვა პირველმა ღამის მეხრემა, რომელსაც სოსოს უმანკო და დაღვრემილმა სახემ ამაყი გული მოულბო.

— ე რა ღმერთი გაგვიწყრა და მაგის ხარი დავკარგეთ! განაგრძო ისევ იმან: სოსო, თუ დილაზედ შენი შვინდა აქ არ მოვიყვანო, მაშ კაცი ნუღარ ვყოფილვარ!

სოსო აქამდის გაჩუმებული იყო და სულ თავისს შვინდაზედ ჰფიქრობდა. ეხლა, როცა ყველამ იმას შეჰხედა და სიბრალულის თვალით დაუწყეს ყურება, ტირილი მოუვიდა და ცრემლები ველარ შეიმაგრა.

— ჩემო ქიტესო, ეხლა მაინც წავალ საძებნელად? ჩემ მაგიერად აგერ, აი, მეხბორეს გამოვგზავნი! ტირილით ეხვეწებოდა ქიტესას.

— კარგი, შვილო, წადი, მაგრამ ჭალაში-კი არ გაება და არ დაგიღამდეს.

— ე წყლის პირს დაჰყევი, მანდ ეგდება სადმე. თუ მანდ არ იყოს, ჭალის პირას გრილოში იქნება და იქ მოძებნეო, ურჩია პირველმა ღამის მეხრემ, როცა სოსო სიხარულით წამოვარდა ფეხზე, რაკი ქიტესასაგან ძებნის ნება-რთვა აიღო.

— მოიცა, შენ გენაცვალო, ჩემო სოსო, პატარა შეჭამე რამე, უთხრა თეკლემ, თორემ მშიერი მოჰკვდები!

— არა მშიან!

— ცარიელა კორკოტი მაინც დახვრიტე! აი, რა გემრიელია, იჰ, იჰ! თეკლემ აიღო სავსე ჯამი ხელში და რამდენიმე კოვზის პირი შეხვრიტა. მერე ჯამი სოსოსთან მიიტანა და გაუშვირა. სოსომ უარი ველარ უთხრა და საჩქაროდ დააცალიერა ჯამი...

სოსომ და მეორე დღის მეხრემ გუთნის ხარი აშალეს და წინ გაირეკეს. ღამის მეხრეები გუთნის დედით თელის ქვეშ წამოწვნენ და ძილს თავი მისცეს. თეკლემ-კი საჩქაროდ ჯამები ჩაალაგა ხურჯინში და შინისკენ გაეშურა.

— ბიჭო, გუთნის ხარი არ დააგვიანო, ჩქარა მორეკე, თორემ ველარას მოვხნავთ, კიდეც დაღამდება, გასძახა ქიტესამ მეორე დღის მეხრეს, როცა ისა და სოსო თელას კარგა დაჰშორდნენ.

III

კარგა შეღამდა. ცა საშინლად მოიღრუბლა და განრისხებული სახე მიიღო, თანდათან უფრო იჭმუხნებოდა და დედამიწას მუქარით ჩამორუხრუხებდა. ხან ერთს ცის კიდეს, ხან მეორეს გველივით გაიკლაკნებოდა ელვა და ერთ წამს გაასინათლებდა ხმელეთს, თითქოს ცას სურს, თვალი გადაავლოს ქვეყანასაო. დედამიწა-კი ძრწოდა განრისხებულის ცის დანახვით და რაღაც საშინელებას ელოდდა. ჩამი-ჩუმი არსაიდგან ისმოდა. ის ფრინველნიც, რომელნიც ისე სიხარულითა და ჟივილ-ხივილით მიეგებნენ დღის სინათლეს, ეხლა სადღაც მიმალულიყვნენ და ხმას არ იღებდნენ. ზოგს მათგანს ხშირი ფოთლები მოენახა და ცდილობდა ამ ფოთლების შემწეობით აეცდინა ის ვაება, რა ვაებასაც ცა უქადოდა. აგერ ბელურეები ჯაგის ქვემო ტოტებზედ ჩამწკრივებულან და ერთმანეთს რაღასაც ჩასჩურჩულებენ. ამ ჩურჩულზედ იქვე ჯაგის ძირს განაბული კურდღელი აცქვეტს ყურებს და სიფრთხილით გადაავლებს თვალს გარეშემო მიდამოს. აგერ ეშმაკი ქედანი მუხის ფუღუროს შეჰფარებია და საწყალს გვრიტს-კი, რომელიც იქვე ფუღუროს პირს ჩამოსკუპებულა, აღარ უშვებს თავისთან და განრისხებული ცის ანაბარა სტოვებს. სხვა სულდგმულთაც მოუნახავთ თავ-შესაფარი და იქ ელიან ცის რისხვას. მგელსაც-კი, ამ ღამით მოწანწალე ცხოველს, მოუძებნია სორო, კუურტ-უკუღმა შემძვრალა და იქიდგან გამოაკვესებს თვალებს. ყველა სულდგმული უფრთხის და ემალება განრისხებულს ცას. მარტო ერთი სულდგმული არ უფრთხის და გულ-მოდგინედ რაღასაც დაეძებს. ეს სულდგმული სოსოა, რომელიც სამხრობისას წამოვიდა თავის შვინდას საძებნელად, მაგრამ ჯერაც ვერ უპოვია. თუმცა მთლად შემოიარა წყლის ნაპირები, მაგრამ იმის კვალიც ვერ იპოვა და აი ეხლაც შუა ჭალაში და სასოწარკვეთილებით იძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენ და ადავიდარაბებენ საქმეს! სირცხვილი არ არის, რომ აქა-იქ გაიძახიან: „თუ კიდევ მარშლების შესახებ კენჭის-ყრა მოხდა, კენჭი ერთიორად გახდებაო“. ამას ისე ამბობენ, თითქოს აქარაფერი ამბავია. ის-კი არ იციან, რომ კენჭთან ერთად თავიანთს ადამიანობას, თავიანთს მიხვედრილობას, თავიანთს სინიდისსა და ნამუსს ჰყიდიან. ვერ მიმხვდარან, რომ ვინც კენჭის ყიდვას ასე თავ-განწირვით ეტანება, ის პატიოსნებასა და ადამიანობასაც თავ-განწირვით გაურბის. დროა, ჩვენმა თავად-აზნაურობამ ეს შეიგნოს, დროა, მცნებად და კანონად დაიწეროს გულის ფიცარზე და სახელმძღვანელოდ გაიხადოს ცხოვრებაში დიდებულის კაცის დიდებულად ნათქვამი სიტყვები:

მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანისცემა ღირსებას.

უამისოდ ყოვლად შეუძლებელია ჩვენი თავად-აზნაურობა ან თავისს საქმეს გაუძღვეს, ან ქვეყნისას.

**

საქვეყნო საქმის გაძღოლას დიდი თავის შეტკივება უნდა, დიდი უნარი და გამოცდილება ესაჭიროება და ამაში მარტო თავად-აზნაურობასაც ვერ დავსდებთ ბრალს; სხვაც ბევრია ჩვენში ისეთი, რომ ამ დიდსა და ძნელს საქმეს ხელს მოჰკიდებენ და იმას-კი აღარ დაგიდევენ, შეუძლიათ თუ არა პატრონობა ნაკისრის საქმისა. საქვეყნო საქმეთა შორის ამ ჟამად არ შეიძლება სამრევლო სკოლები არ ჩავთვალოთ თავის ავ-კარგითა და წუნ-ღირსებით. მაშ რაღა უნდა იყოს საქვეყნო და საზოგადო საქმე, თუ არ სკოლები, რომელშიაც უნდა გამოიზარდნენ ქვეყნის მომავალი პატრონები, საზოგადოების მომავალი წევრნი!

რამდენჯერ გვითქვამს, რომ სამრევლო სკოლები ჩვენში ახალი საქმეა და ყოველს ახალსა და უსუსურს საქმეს მეტის-მეტად ხერხიანი ძიძა და ლალა ესაჭიროება-მეთქი. მაგრამ თქმას რა მნიშვნელობა აქვს იქ, სადაც გაგონება არ არის!

სად გაგონება არ არის,
გარგვაა სამართლისაო,

უთქვამს ჰკვიანს კაცს. წლევანდლამდე გურიის სამრევლო სკოლები გურია-სამეგრელოს ეპარქიის სასწავლებლო საბჭოს ექვემდებარებოდა. ეს საბჭო სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველისა და მასწავლებელთაგან შესდგებოდა. ეს სასწავლებელი, როგორც ვიცით, ახალ-სენაკშია. ახალ-სენაკი გურიაზე დაშორებული ადგილიაო, სთქვეს, და სიშორის გამო გურიის სკოლებს ყურადღება მოაკლდებაო, და ამ მოსაზრებით ოზურგეთში დააარსეს საბჭოს განყოფილება. ეს ამბავი სასიხარულო იყო და სიხარულითაც მიეგება ყველა ის, ვისაც-კი საზოგადო საქმისთვის გული შესტკივა. მაგრამ ბოლოს აღმოჩნდა, რომ ეს სიხარული მეტის-მეტად ადრეული იყო. ვიდრე ახალ-სენაკის საბჭოსთან ჰქონდა ჩვენს სკოლებს საქმე, წელიწადში ერთხელ მაინც-კი ინახულებდნენ ხოლმე და სკოლების ავ-კარგს ტყობილობდნენ. წელს-კი აქამდე ბევრი სკოლა კიდევ დაუთვალიერებელი და უნახავია. ამბობენ, სამრევლო სკოლებმა ჯიბრი უნდა გაუწიოს სამინისტროს სკოლებსაო. კარგი და პატიოსანი. ეს ჯიბრი თუ სიკეთის ჯიბრი იქნება, საქმეს განკარგება უნდა, ხოლო თუ სიგლახისა იქნება, ჯიბრი რაღა საჭიროა? ამ მხრით სამრევლო სკოლები უჯიბროდაც ნაჯობნია.

ან-კი რა სათქმელია ჯიბრობა და ქიშპობა, როცა საზოგადოდ ყველა სკოლა ერთს გზას უნდა ადგეს და ერთს საქმეს ემსახურებოდეს—ხალხის განათლებას. ეს განათლების ლამპარი რამდენიც მეტი იქნება, მით უფრო სასურველია. რა საჭიროა, რომ სამინისტროს სკოლებს სამრევლო სკოლები ჰყავდეს ათვალწუნებული, ხოლო სამრევლო სკოლები სამინისტრო სკოლების განადგურებას ცდილობდეს! „ხელმა ხელი დაბანა და ორივემ-კი პირიო“, ნათქვამია. განა არ შეიძლება ერთის ცხოვნება ისე, თუ მეორე არ წაწყდა? საკვირველია, მე და ჩემმა ღმერთმა!

**

საკვირველება თუ გინდა ამაღლების სოფლის სასამართლოს ბ-ნის ეგნატე ჯინჭარაძის წერილიც (იხ. „ივერია“ № 175) საკვირველია, უსამართლობაც იმას ჰქვიან, რაც ამ კაცს უსამართლობა შეხვედრია ერთის აქაურის მოამბისაგან. კაცს ცხრამეტის წლის განმავლობაში გურიის თითქმის ყველა ოცდა ხუთს საზოგადოებაში მწერლად უმსახურია, ყოველგან მისის მეთაურობითა და შემწეობით (?!) სკოლები დაარსებულა, სკოლებს გარდა, მისს სამშობლო სოფელს ნაბელლავში მისის შრომითა და ხარჯით (?!) შტატის ეკკლესია აშენებულა. ბევრს ალაგს „მისივე მეოხებით“ ერთ-კლასიანი სკოლა ორ-კლასიანებულა და სხვა-და-სხვა. ამ ბოლო დროს გამოტყვრენილა ვიღაც არა-მკითხე და ამ „ღვაწლ-შემოსილის“ კაცისათვის „გაიძვერა“ უწოდებია. ესეც არ უკმარნია, სხვა ცილიც შეუწამებია: „სოფელს აბუჩად იგდებსო“, თავისს ნებაზედ დაჰყავსო.

აბუჩად აგდებისა რა მოგახსენოთ, ხოლო ამისთანა მშრომელსა და მოღვაწეს, როგორიც „ამაღლების სოფლის სასამართლოს მწერალი ბ-ნი ეგნატე ჯინჭარაძე“ ბრძანებულა, სოფელი რომ თავისს ნება-სურვილზედ დაჰყავდეს, სასიამოვნოა. ცუდს ხომ არაფერს ურჩევს სოფელს, ცუდს ხომ არაფერს ჩააგონებს, გარდა იმისა, რომ სკოლა გაიმართე, ეკკლესია აიშენეო.

მეტის-მეტად უმადურია „ივერიის“ მოამბე, თორემ ასეთს კაცს მადლობისა და დაფნის გვირგვინის მაგიერად საყვედურით შემკობა უნდოდა! იმ ახირებულ მოამბისა რა ვიცი და მე ჩემდა თავად იმ აზრისა ვარ, რომ რადგანაც ჩვენში ამ ჟამად ბ-ნის ჯინჭარაძის მეოხებით ეკკლესიაც ბევრია, სკოლაც საკმაოა, ეს კაცი უნდა გავისტუმროთ ისეთს ადგილას, სადაც არც ეკკლესია და არც სკოლა. ასეთს ადგილზეა საჭირო ბ-ნი ჯინჭარაძე, რომ იქაურ მკვიდრთ ეკკლესიაც ააშენებინოს და სკოლაც დააარსებინოს. ჩვენში-კი ასეთს მოღვაწეზე მადლობის მაგიერად ამას იტყვიან:

მიდის, მოდის გაბრიელი
და არავინ ჰყავს მადრიელი-ო

დათიკო ვერმიცანაშვილი

## წვრილი ამბავი

კუნძულს მარტინიკაზე (ანტილიის კუნძულთ შორის), რომელიც საფრანგეთს ეკუთვნის, ერთის საუკუნის განმავლობაში სამჯერ გადაიარა ძლიერმა გრიგალმა. უკანასკნელი გრიგალი წელს, 8 აგვისტოს, იყო და ისეთი ძალა არა ჰქონია, როგორც წინანდელს გრიგალებს ჰქონდა. ამ გრიგალის წინად ჯერ ქარტეხილი ასტყდა და ზღვა საშინლად აღელდა. გამოქანებულმა ტალღებმა წალეკა და დაანგრია სახლები. ტალღებმავე სამი გემი მოიტაცა ზღვიდგან და ხმელეთზე გადმოაგდო იმ სიშორეზე, რომ შემდეგ ვეღარც-კი შეიძლეს მათი ხელ-ახლად ზღვაში ჩაშვება. ყველაზე ძლიერი გრიგალი 1780 წლის გრიგალი იყო. ამ გრიგალმა სხვათა შორის კუნძულს ბარბადოსსა და სანტა-ლუჩიაზე გადაიარა და, რასაც-კი მოჰხვდა, სრულიად აღგავა დედამიწის პირიდგან. სანტა-ლუჩიის უმაგრეს შენობები ისე უცბად ინგრეოდა, თითქოს ქაღალდის ხუხულააო. ნანგრევთა შორის 6,000 კაცი დაიღუპა. ინგლისის ფლოტი, რომელიც რეიდზე იდგა, საშინლად დაზარალდა.

აი რასა სწერს ადმირალი როდნეი ოფიციალურს მოხსენებაში: „შეუძლებელია კაცმა აღწეროს ის საშინელი უბედურება, რომელიც ბარბადოსის მცხოვრებთ დაემართათ. მე რომ ჩემის თვალით არ მენახა, ჩემს დღეში ვერ დავიჯერებდი, თუ ქარი შეიძლებდა იმდენისა და იმ გვარ მაგარ შენობათა დანგრევას. მე ეხლაც ისე ვფიქრობ, რომ გრიგალის დროს მიწაც იძრა. როცა გრიგალი ჩადგა, ნაცვლად აყვავებულის ნაყოფიერის ქვეყნისა, რაღაც გაპარტახებული, ბოროტმეტყველი ადგილი-ღა დარჩა; გეგონებოდათ ზამთარი დადგაო: თუ სადმე კანტიკუნტად ხე დარჩენილიყო, არც ერთს მათგანს ფოთოლი სრულიად აღარ ესხა.

გამძლებულმა ტალღებმა სრულიად მოსრა ზღვის პირის სიმაგრენი ბარბადოსისა. ამ კუნძულიდგან გრიგალი ახლა კუნძულს მარტინიკაზე გადავიდა და საფრანგეთის ესკადრა—50 გემი 5,000 ჯარის-კაცითურთ დაღუპა. მხოლოდ 6—7 მესაჭე (მატროსი) გადარჩა. მომეტებული ნაწილი სხვა გემებისაც ზღვამ დასძირა. ამ გვარივე ამბავი დაემართა ბევრს ინგლისის სამხედრო გემსაც, რომელიც ევროპაში მიდიოდა.

ამ გრიგალის დროს კუნძულს მარტინიკაზე 9,000 კაცი დაიღუპა და მათგან 1,000 მარტო ქალაქს სენ-პიერში. 150 სახლი თვალის დახამხამებაზე გააქრო გადმოვარდნილმა ზღვის ტალღებმა. მეორე ქალაქში გრიგალმა მოსრა შვიდი ეკკლესია და ას ორმოცი სახლი. დაიქცა სხვათა შორის საავადმყოფო და შიგ 1,500 ავადმყოფი დაიღუპა. ქალაქს კინგსტოუნში, კუნძულს სენ-ვინცენტზე, 600 სახლიდგან მხოლოდ 14-ღა გადარჩა. თუ რა ძლიერი იყო ეს გრიგალი, კაცს იქიდგან შეუძლიან გაიგოს, რომ სიმაგრეებზე მდგარი ზარბაზნები აქეთ-იქით მიფანტ-მოფანტა.

იმ დროს საფრანგეთისა და ინგლისს შორის გაცხარებული ომი იყო, მაგრამ ორმავე მხარემ თავი დაანება ბრძოლას ამ ამბის გამო და სისხლის ღვრის მაგიერი ადგილი კაცთ-მოყვარეობის გრძნობამ დაიპყრო.

მარტინიკის გუბერნატორმა, მარკიზმა ბულიემ, განათავისუფლა ინგლისელი ზღვაოსნები, რომელთაც გრიგალის დროს ამ კუნძულს მიატანეს თავის შესაფარებლად და ძალა-უნებურად დატყვევებულ იქმნენ.

თუმცა ევროპაში მხოლოდ აქა-იქ, პატარ-პატარა ადგილებში, იცის გრიგალი, მაგრამ მაინც-კი ხანდახან იქაც დიდს ნავნებსა შვრება. ყველას ახსოვს ის საზარელი გრიგალი, რომელმაც 1845 წელს, 19 აგვისტოს, მონვილსა და მალონეზე გადაიარა. ერთის მომსწრეს სიტყვით, ქარს უეცრად დაუქცევია სამი ჩითეულობის საქსოვი ქარხანა, შიგ რამდენიმე ასი კაცი მოუყოლებია და, ამას გარდა, კიდევ რამდენიმე ათასი ხეც ამოუგლეჯია ძირიანად. ერთის ქარხნის პატრონი ის იყო გამოვიდა ქარხნიდგან და შინისკენ მიდიოდა. არ გადაუდგამს სულ 150 ნაბიჯი, რომ უეცრად რაღაც გრიალი შემოესმა უკანიდგან. მიიხედა და ქარხანა აღარსად სჩანდა: გრიგალს სულ ერთიან აეწმინდა. შეშინებული მექარხნე შინისკენ გაიქცა, მაგრამ სახლიც უეცრივე დაინგრა. საწყალმა მექარხნემ იცოდა, დედაჩემი შინ იყოვო, და ამიტომ გაფაციცებით დაუწყო ძებნა ნანგრევთა შორის. მართლაც იპოვნა დედა და სიკვდილს გადაარჩინა. ქვის ფილაქნები და ფიცრები გრიგალმა ზოგი 25—30 ვერსის

---

ხის: „შვინდავ, შვინდავ, ფშვიე..ე..ე, ჩემო შვინდავ“! მაგრამ პასუხი არსიდგან მოესმის.

— ამ ბნელაში სადღა წავიდე და სად მოვნახო?! არ ვიცი, რა ვქნა?! აკანკალებულის ხმით იძახდა სოსო.

უეცრად შედგა, თითქოს რაღაც ფაჩუნი მოესმა. სახე გაუბრწყინდა და გულს იმედი ჩაესახა. სულ ერთიანად სმენად გარდიქცა და თავი იქით გადიხარა, საიდგანაც ფაჩუნი მოესმა.

— შვინდავ! აჩქარებით და დაბალის ხმით წამოიძახა და უფრო გატვრინდა. რამდენსამე ხანს ასე გატვრენილი იდგა, მაგრამ გარშემო ისევ წინანდებური სიჩუმე ჰმეფობდა და არა ჰხმაურობდა-რა.

— შვინდავ, შვინდავ... სადა ხარ?! გასძახა ერთი კიდევ და როცა დარწმუნდა, რომ იმედი ტყუილი გამოსდგა, მერე ლაპა-ლუპით ცრემლები გადმოყარა.

ამ დროს ცა ერთი კიდიდამ მეორემდე გაიხსნა და მთლად არემარე ერთს წამს განათდა... მერე ერთი ისეთი დაიქუხა, რომ კაცს ეგონებოდა, ცა სულ ერთიანად გადმოინგრაო. ბევრი მძინარე დააფეთიანა ამ ჭექამ და პირჯვარი დააწერინა. სოფელში ძაღლებმა ღმუილი შეჰქნეს, ჰალაში-კი ყველა სულდგმული შეირყა და ხმაურობა მორთო. თითქოს ამ ცის დაჭექებას ელოდდა ქარიო, უეცრივ დაჰქროლა ძლიერმა ზენა ქარმა და მთელი ჰალა ერთს წამს ააშფოთა: ხეებს ჭრიალი დააწყებინა, ფოთლებს შრიალი. ერთის ხიდგან მეორეზედ მარდად ჰხტოდა და გაჰქონდა შუილ-ზუილი. ცამ-კი ელვას და ქუხილს უფრო უმატა. ცოტა ხნის შემდეგ წამოუშინა ხშირი და მსხვილი წვიმა, რომელშიაც ჯერ წვრილი და თითო-ოროლა სეტყვა ერია, შემდეგ-კი წვიმა მთლად სეტყვად გადაიქცა და ხეების ტოტებს ლაწა-ლუწი აუყენა. ქარის შრიალი და ზუილი, ხეების ჭრიალი და ტოტების ლაწუნი, სეტყვის ხუილიც სულ ერთად აირია და რაღაც გამოურკვეველს და საზარელ ხმაურობას ასტეხდა შუა ჰალაში. [illegible] სოსოს უეცრად მოესმა დიდის ზარის გუგუნი, რომელსაც იმის სოფელში სეტყვის მოსვლაზედ დაუწყეს ხშირი რეკვა იმ იმედით, რომ სეტყვა გადიღებსო. დიდის ზარის გუგუნს წვრილის ზარების წკრიალიც მოჰყვა და ამ გამოურკვეველმა შემაძრწუნებელმა ხმაურობამ უფრო გამოურკვეველი ხასიათი მიიღო. სოსომ მოიხადა ქუდი, ცრემლიანის თვალით რამდენჯერმე წამოიძახა: „ღმერთო, შენ მიშველეო!“ და პირჯვარი გადაიწერა. ბოლოს ამოიოხრა და გულსაკლავად ხმა-მაღლა დაიძახა: „ვაიმე, ჩემო შვინდავ!..“

## IV

რაკი ჯავრი ამოიყარა, ცა დაიშაბრა და უჯრებად დაიყო, ვარსკვლავებმა გამოიხედეს და ბრჭყვრიალი დაიწყეს. ცოტა ხანს შემდეგ ცა სულ ერთიანად მოიწმინდა. მარტო ალაგ-ალაგ პატარა ღრუბლის ნაგლეჯებიღა იყო მიკრული, რომელიც თანდათან ჰქრებოდა [illegible] ნათელი მოჰფინა. შესაბრალისს სოსოს [illegible] ჰალა, სადაც მთლად გაწუწული და გაზნზლული სოსო დააფლატუნებდა და სიცივისგან კანკალი გაჰქონდა. ერთი ხეც აღარ მოიძებნებოდა მთელს ჰალაში, რომ ან ფოთოლი და ან ნორჩი ტოტი შერჩენოდა. სულ ძირს იყო გაფენილი და მიწასთან გასწორებული. ვინ იცის, რამდენს ფრინველს და პატარა გარეულთ ნადირთ, უსაფაროდ დარჩენილს, თავი გაუჭეჭყა და სამუდამოდ გამოასალმა წუთი-სოფელს! ეხლა იმათი სხეული ფოთოლთან ერთად არის არეული! აგერ ერთს ამისთანა დამახინჯებულს გვრიტის სხეულს სოსომ ფეხი წამოჰკრა და ხელში აიღო... ამან უფრო მწარე ფიქრები აუშალა საცოდავს სოსოს: „იქნება ჩემი შვინდაც ეხლა ამ გვრიტივით თავ-გატეხილი გდია სადმე და მგლები ჰხარობენ იმის ხორცითაო“, ჰფიქრობდა სოსო და თან ცრემლებს ჰყრიდა. ამ მწარე ფიქრებში გართულმა გაიარა ხშირი ჰალა და [illegible] იმედის გადაწყვეტით გაზხვდა ჰალას. რამდენიმე წუთი დაჰყო ასე გაოცებულმა და ჩაფიქრებულმა: „განა ჩემს შვინდას ველარა ვნახავო?!“ და გაშტერებით უმზერდა ჰალას.

— შვინდავ, შვინდავ, ფშვი..ე..ე..ე, ჩემო შვინდავ! უეცრად ისეთის ხმით წამოიძახა, რომ ხეებს რომ გული და გრძნობა ჰქონოდათ, ისინიც ტირილს დაიწყებდნენ.

— მმუ..უ.. მმუ..უ..უ! პასუხად მოესმა იქვე ახლოდგან რაღაც ზმუილი და ფაჩუნი.

— ჰა!.. შვინდავ, შვინდავ!.. ისაა!.. ზედი-ზედ ისროდა სიტყვებს და ძლივსღა ჰსუნთქავდა სოსო.

— მუუ..უ მუ..უ..! თანდათან უფრო ახლო მოისმოდა ზმუილი.

— ჩემო შვინდავ!... ჩემო შვინდავ!... ძახილით გაექანა სოსო იქით, საიდგანაც ზმუილი მოისმოდა.

ამ დროს ჰალის პირას მშვენივრად [illegible] შვინდის ფერი ხარი გამოჩნდა.

— შვინდავ!... მივარდა სოსო და კოცნა დაუწყო.

ხარიც ალერსით შესცქეროდა გახარებულს სოსოს და კოცნის მაგივრად სახეს ულოკავდა.

ზ. არაგვისპირელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანძილზე წაიღო. ამავე გრიგალმა გაიტაცა კლერის ტყეზე და რამდენისამე ვერსის მანძილზე რაც რამ ხე იყო, სულ ერთიან გადაგლიჯა. ვენერთელა მუხები ძირიან-ფესვიანად ამოაგდო.

## დეპეშა

24 აგვისტო

**პეტერბურგი.** მის იმპერატორებითის უდიდებულესობის ბრძანებისამებრ უწ. სინოდს სჯა ჰქონდა იმის შესახებ, რომ ზოგიერთს გუბერნიას უბედურება დაატყდა მოუსავლობის გამო და სამღვდელოებაც გაჭირვებაშია. სინოდი ბრძანებს რომ: შემოღებულ იქმნას ეპარქიებში წირვის დროს საგანგებო სავედრებელი მშვიდობიანი და დაიწყონ ეკკლესიებში შეწირულებათა შეგროვება მოუსავლობისაგან დაზარალებულთათვის, დაევალოს სასინოდო კანტორებსა და ეპარქიის ეპისკოპოსებს, რომ იზრუნონ და შეძლებულს სავანეებსა და მონასტრებს თავის შემოსავლის ნაწილი დაზარალებულთათვის აწილადებინონ და კვალად ასაზრდოვებინონ შეუძლებელნი, დაარსებულ იქმნას საგანგებო კომიტეტები შემოწირულებათა შესაკრებად მსურველთაგან, საგუბერნიო კომიტეტებს დაევალოს, რომ გამართონ სასადილოები და უფასოდ აჭამონ სადილი, და გამოცხადებულ იქმნას, რომ სინოდის სამეურმეო გამგეობა და კომიტეტები აგროვებენ შემოწირულებას.

**ჰამბურგი.** „Hamburger Nachrichten“ შემდეგის აზრისაა შესახებ დარდანელის საქმისა. თუ ბერლინის ხელშეკრულობა შესახებ ბოლგარიისა დარღვეულ იქმნა რუსეთის საზარალოდ, მაშ რუსეთსაც შეუძლიან უარჰყოს პირობანი პარიჟის მორიგებისა. სრუტეთა შესახებ კონვენციაში, რომელიც პარიჟის ხელ-შეკრულებასა აქვს დართული, ლაპარაკი მხოლოდ სულთანის ნების შესახებაა; მაშასადამე, თუ სულთანმა სხვანაირად მოისურვა, მაშინ სულ სხვა ახალი ვითარება ჩამოვარდება საქმისა. თუ რუსეთს ნება მიეცემა, რომ მისმა გემებმა გაიარონ დარდანელში, ეს გარემოება არც ერთს სხვა სახელმწიფოს, რომელსაც-კი ხელი უწერია ხელშეკრულობაზე, ნებას არ აძლევს, რომ მოითხოვოს, ჩვენმა გემებმაც უნდა იარონ დარდანელზეო.

**ლონდონი.** ხანგრძლივ მოლაპარაკებას შემდეგ პირტა და ბ-ნი ნელიდოვი მორიგდნენ: თუ შავის ზღვის ნავთ-სადგურებში კატორგაში გასაგზავნები და ჯარის კაცი ჩასხეს გემში, რუსეთის საელჩომ უნდა აუწყოს პორტას, რომელიც ამ შემთხვევაში ნებას მისცემს დარდანელში გემების გატარებისას. თუ გემებით რუსეთში უკან ბრუნდებიან დათხოვნილი ჯარის კაცები, მაშინ მხოლოდ გემის კომანდირმა უნდა შეატყობინოს და გემს გაატარებენ.

**პარიჟი.** როგორც ოფიციალური დეპეშით იუწყებიან, უკანასკნელად მოსული ამბები შესახებ უწესოებისა ჩინეთში მართალი გამოდგა. ორი ბელგიელი მონოზანი და ერთი ბელგიელი ბერი მოჰკლეს.

25 აგვისტო

**პეტერბურგი.** რომ ნაკლებად აგრძნობინონ მოუსავლობა ხალხს, რკინის გზებით მიმოსვლა იაფდება იმათვის, ვინც სამუშაოზე მიდის სადმე მოუსავლიან გუბერნიიდგან. მიმავალს მოწმობა უნდა ჰქონდეს ზოგს გუბერნიებში საერობო უფროსების მიერ მიცემული და ზოგს ადგილას-კი ადგილობრივ მთავრობის მიერ. გარდასახადი გამოერთმევათ 75% დაკლებით უსახელმწიფო გარდასახადოდ, ე. ი. $^5/_{16}$ და $^3/_{25}$ კ. ვერსზე. რკინის გზათა დეპარტამენტს ნება ეძლევა, თუ საჭირო შეიქმნება, დაკლებული გარდასახადი სხვა ადგილებშიაც შემოიღოს. ხსენებულს შემცირებულს გარდასახადს 28 აგვისტოდგან შემოიღებენ.

**შტეტინი.** დღეს, ნაშუადღევის 6 საათზე, იახტით „ცესარევნა“-თი მობრძანდა აქ დიდი მთავარი გიორგი ალექსანდრეს ძე და ცოტა ხანს შემდეგ გაემგზავრა ვარშავას. იახტა „ცესარევნა“ დღეს ზღვაზე წავიდა.

პეტერბურგის ბირჟა, 23 აგვისტო

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7, 45 | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 150 | — „ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — „ | — „ | 239 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | 229¼ |
| —მესამისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, . , , , | 213 | — „ | 210½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | — „ | — „ | — „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიმდე მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს სოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

## განცხადებანი

### „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულება ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით ტომი I: ელგუჯა, ციკო და ელისო . . . . | 1 | 20 |
| ტომი II, მამის მკვლელი და განკიცხული. . . | 1 | 20 |
| ტომი III, მოძღვარი და ციცია . . . . . | 1 | 20 |
| საუნჯე, მ. ჯანაშვილისა. | „ | 20 |
| ცვარი სურათებიანი, საყმაწვილო წიგნი. . . . | „ | 30 |
| სიმრთელის კიდობანი (კარაბადინი) სულაქველიძისა. | 1 | „ |
| „ვეფხის-ტყაოსანი“ მე-12 გამოცემა, ოზურგეთში; ფასი . . . . . . | „ | 30 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| სამი ბრძენი, ილ. იკონთელისა. . . . . . | „ | 20 |
| დავით აღმაშენებელი, დრამა. . . . . . . | „ | 40 |
| უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი. თარგ. თ. სახოკიასი . . . . | „ | 30 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი აღნიაშვილის მიერ. | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა. ახალი გამოცემა. . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. . . . . . | „ | 15 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა, მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა, შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . | 1 | „ |
| ბრძენი . . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგულის ენისა, ყდით. | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე, ყდით . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი, დამატებით ძველის გეოგრაფიისა. . . . . | „ | 50 |


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოდის ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 | თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 | „ . . . . | 9 „ 50„ | 5 | „ . . . . | 5 „ 25„ |
| 10 | „ . . . . | 8 „ 75„ | 4 | „ . . . . | 4 „ 70„ |
| 9 | „ . . . . | 8 „ —„ | 3 | „ . . . . | 3 „ 50„ |
| 8 | „ . . . . | 7 „ 25„ | 2 | „ . . . . | 2 „ 75„ |
| 7 | „ . . . . | 6 „ 50„ | 1 | „ . . . . | 1 „ 50„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


### ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| „თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძე) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი სამი ტომი, თითო ტომი ცალკე . | 1 | 20 |
| იგივე მშვენიერის ყდით და მშვენიერს ქაღალდზე თითო ტომი ცალკე . . . . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი ერთად . . . . . . . | 7 | „ |
| სრული სამზარეულო ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა . . . , . . . . . . | 1 | 20 |
| იგივე ყდით . . . . . . . . . | 1 | 40 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით და ბიოგრაფიით. | „ | 80 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . . | 1 | 25 |
| „დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა“ ლეგენდარული პოემა ბაჩანასი. . . . . . . . . | „ | 15 |
| ხალხური ზღაპრები, შეკრებილი ვლ. აღნიაშვილის მიერ, . | „ | 30 |
| იგივე, მშვენიერის ყდით . . . . . . | „ | 75 |
| სურამის ციხე, მოთხრობა ჭონქაძისა . . . . | „ | 25 |
| „მარაბდა“ პოემა ანტ. ფურცელაძისა . . . . | „ | 20 |
| „წყალობა“, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |
| „უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა“ ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით ნათარგმნი თ. სახოკიას-მიერ . . . | „ | 30 |
| ვეფხვის ტყაოსანი, ოზურგეთში გამოცემული. . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . . . . . . . | „ | 80 |
| მეფე დავით აღმაშენებელი. ისტორ. დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა . . . . . . | „ | 40 |
| გიორგი ვაშინგტონი, თარგ. ნ. ბარნაბიშვილის-მიერ. . | „ | 30 |
| მაჭმადიანთ ლექსები, გამოც. ზ. ჭიჭინაძისა . . . | „ | 10 |
| ავაზაკნი, ტრაგედია ანტ. ფურცელაძისა . . . | „ | 30 |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერები წიგნი I . . . . . | „ | 30 |
| სამის თავს გადასავალი, მოთხრ. ან. ფურცელაძისა. . | „ | 25 |
| ქიტესა—მისივე . . . . . . . . | „ | 15 |
| სამი სხვერპლი, დ. კარიჭაშვილისა . . . . | „ | 30 |
| ლენტის მსგავსნი ჭიები ი. თ. . . . . . | „ | 5 |
| პატიოსანი ადამიანი. . . . . . . . | „ | 5 |
| ჟანნა-დარკ . . . . . . . . . | „ | 5 |
| ბერლინის გარემოცვა. . . . . . . . | „ | 5 |
| „ბატონყმობა საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე“ ისტორიული გამოკვლევა ა. ხახანაშვილისა. . . . . | „ | 50 |
| „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи ა. ხახანაშვილისა. . . . . . . . | „ | 50 |
| „შვილის აღზრდა“, თ. ხუსკივაძისა. . . . . | „ | 20 |
| ფიზიკური აღზრდა, გ. იოსელიანისა . . . . . | „ | 20 |

Дозв. ценз. Тифлисъ, 26-го Августа 1891 г. სტამბა მ. შარაძისა. დროებითი რედაქტორი ზრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.